ნიდერლანდები

- სახმელეთო ამანათის საქართველოში გამოგზავნა შესაძლებელია ცხრილში მითითებული ქალაქებიდან. გზავნილის საქართველოში გზამოგზავნის მიზნით, გამომგზავნი უკავშირდება შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის წარმომადგენელს, იმავე ცხრილში მითითებულ ტელეფონის ნომერზე, რა დროსაც თანხმდება შეხვედრის დროსა და ადგილზე, თუ სად და როდის შეძლებს გამგზავნი გზავნილის გადაცემას კურიერზე, მისი საქართველოში ტრანსპორტირების მიზნით.
- ნიდერლანდებიდან საქართველოს მიმართულებით სახმელეთო ამანათის **გაგზავნის ღირებულება** დგინდება აგენტის მიერ.
- სახმელეთო ამანათის ნიდერლანდებიდან საქართველოს მიმართულებით გაგზავნა ხორციელდება **ორშაბათ დღეს.**
- სახმელეთო ამანათის საქართველოში ტრანსპორტირების ვადაა გამოგზავნიდან **არაუმეტეს 5-8 სამუშაო დღე.**
- გამგზავნს უფლება არ აქვს სახმელეთო ამანათით გააგზავნოს ის ნივთები და საქონელი, რომელთა გაგზავნაც **აკრძალულია** როგორც გამგზავნი, ისე ტრანზიტული და საქართველოს კანონმდებლობით. სახმელეთო ამანათით ასევე იკრძალება მსხვრევადი ნივთების (მათ შორის ტელევიზორი; ჭურჭელი და სხვა) გაგზავნა;
- გზავნილის **სათანადოდ შეფუთვაზე** პასუხისმგებელია გამგზავნი. გზავნილი უნდა შეიფუთოს იმგვარად, რომ არ მოხდეს მისი შიგთავსის დაზიანება ტრანსპორტირების დროს, აგრეთვე ასეთმა შეფუთვამ არ უნდა დააზიანოს სხვა გზავნილები ტრანსპორტირების დროს და არ უნდა შეუქმნას პრობლემები პირებს, რომლებიც განახორციელებენ გზავნილების შემდგომ დამუშავებას, ტრანსპორტირებას თუ დასაწყობებას. [გზავნილის შეფუთვის წესი იხილეთ ბმულზე.]
- სახმელეთო ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება გზავნილზე დატანილი ადრესატის მისამართის/ინდექსის მომსახურე [სერვისცენტრებსა] და [კონტრაქტორ ოფისებში].

  გთხოვთ გაითვალისწინოთ, შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს, შეცვალოს ამანათის ჩაბარების ადგილი და ის გააგზავნოს იმავე რეგიონის/რაიონის/უბნის ფარგლებში არსებულ სხვა სერვისცენტრსა თუ კონტრაქტორ ოფისში.

- **ნიდერლანდებში არსებული შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის გაცემის/მიღების პუნქტების შესახებ ინფორმაცია:**

N.	ქვეყანა	ქალაქი	საკონტაქტო ტელეფონის ნომერი
1.	ნიდერლანდები	ეინდჰოვენი მაასტრიხტი ჰააგაროტერდამი ბრედა ტილბურგი ამსტერდამი უტრეხტი ნეიმეგენი	+491639600954; +393292080402